www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2025 წლის II კვარტალი

19.08.2025
www.geostat.ge

19.08.2025

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2025 წლის II კვარტალი)

2025 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 422[1] გემი, რომელთა 50.5 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 23.2 პროცენტი — თხევადი ტვირთმზიდი, 15.6 პროცენტი — კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 10.7 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2025 წლის II კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 53.8 პროცენტით მეტი სპეციალიზებული გემი მიიღო, 49.0 პროცენტით მეტი — გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, 38.9 პროცენტით ნაკლები — კონტეინერმზიდი, 31.5 პროცენტით ნაკლები — თხევადი ტვირთმზიდი.

შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით

(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

19.08.2025

2025 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 17.1 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა, 15.6 პროცენტი — თურქეთის, 10.9 პროცენტი — მალტის, 7.1 პროცენტი — ლიბერიის, დანარჩენი 49.3 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით

(ერთეული)



19.08.2025

2025 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 3.0 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 17.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში გასული მგზავრების წილი აღემატებოდა შემოსული მგზავრების წილს და 51.8 პროცენტს შეადგენდა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში
(ათასი კაცი)



19.08.2025

2025 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 4 024.1 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 5.0 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 52.1 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 30.7 პროცენტი — თხევადი ტვირთი, ხოლო 17.2 პროცენტი — ნაყარი ტვირთი.

გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge